თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N2

ქ. თელავი 2021 წლის 18 მარტი

**თავმჯდომარეობდა:** კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი**

**სხდომას ესწრებოდნენ** კომისიის წევრები: **ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, ბესიკ ქოჩიშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, გურამი წულუკიძე.**

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მრეწველები''- ს თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი **მიხეილ გრემელაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ზურაბ ენუქიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **მედეა ჩაფურიშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ა. შათირიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე უარის თქმის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. ა. შათირიშვილი

**მოისმინეს**1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის პროექტის განხილვის შესახებ.

**აზრი გამოთქვეს:** **ალექსანდრე შათირიშვილმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილ ნუსხასთან დაკავშირებით მერის წარმომადგენლებმა სოფლებში გამოთქვეს რიგი ნაკვეთებთან მიმართ მოსახლეობის აზრის დამატებით შესწავლის მიზანშეწონილება, კერძოდ მდებარე სოფელ ართანაში საკ.კოდი N53.15.43.277, სოფელ გულგულაში N53.09.34.296, სოფელ შალაურში N53.06.39.369 და N53.06.39.390, სოფელ ლალისყურში N53.16.42.158.

**მიხეილ გრემელაშვილმა** გამოთქვა მოსაზრება, რომ მერიამ საკრებულოს სხდომისთვის წარმოადგინოს საკითხთან დაკავშირებული წინადადებები.

**მიხეილ გრემელაშვილის** წინადადებას დაეთანხმნენ კომისიის წევრები.

**გადაწყვიტეს:** თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით.

**მოისმინეს** 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე უარის თქმის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

**აზრი გამოთქვეს:** **გიორგი თავბერიძემ** აღნიშნა, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ითხოვს კავკასიონის მთაზე არსებული საძოვრების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას, ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის რომ მერიას აქვს გამოცხადებული აღნიშნული მიწების იჯარით გაცემაზე ელექტრონული აუქციონი და რიგი საძოვარი არის გაცემული, ამდენად მიზანშეწონილი არ არის მათი სახელმწიფოსთვის გადაცემა.

**ალექსანდრე შათირიშვილმა** გამოთქვა მოსაზრება, რომ საძოვრების სახელმწიფოზე გადაცემა შეამცირებს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების, ამდენად ეთანხმება საძოვრების არ გადაცემას და მოხდეს პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვა.

**ალექსანდრე შათირიშვილის** მოსაზრებას მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმა.

**გადაწყვიტეს:** პროექტი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე უარის თქმის შესახებ განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი